

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

ანგარიში

2025



საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

შინაარსი

კომპანიის შესახებ	03
ჩვენი გუნდი	04
გარდამავალი მოდელი	05
ბირჟის საქმიანობის საერთო შედეგები 2025 წელს	06
დღით ადრე ბაზრის შედეგი	07
დღიური ბაზრის შედეგი	08
ბირჟაზე მონაწილეობის ტარიფი	09
ბირჟის მონაწილეები	10
ნორდ კულთან თანამშრომლობა	11
UMM პლატფორმის ფუნქციონირება და ინფორმაციის გამჭვირვალობა	12
გაზის ბირჟის ტექნიკური გამართვა	13
დაგვიკავშირდით	14

სენბი



სს "საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა" დაფუძნდა 2019 წლის 4 დეკემბერს.

სენბი უზრუნველყოფს:

- დღით ადრე ბაზრის ოპერირება
- დღიური ბაზრის ოპერირება
- დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა
- გაზის ბირჟის ოპერირება

მისია:

ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ენერჯეტიკული ბაზრების ეფექტიანი ოპერირებით, გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სწორი საფასო სიგნალების მიწოდება ბაზრების არსებული და პოტენციური მონაწილეებისათვის

ხედვა:

საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟა არის ვაჭრობის ადგილი არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე მიწოდების მიზნით, არამედ წარმოადგენს რეგიონულ ჰაბს, რომელიც გამოიყენება დაკავშირებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების მონაწილეების მიერ ტრანსასასაზღვრო ვაჭრობისათვის

ჩვენი გუნდი



ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი




ეკა ლოლუა
გენერალური მდივანი



თათია ლოლუა
ბაზრის ანალიტიკოსი



თინათინ მარაშვილი
სავაჭრო ოპერაციების ოფიცერი



ბეკა თათულიშვილი
სავაჭრო ოპერაციების ოფიცერი



ბატან თურმანიძე
ადმინისტრაციული მენეჯერი





გარდამავალი მოდელი

ბაზრის გარდამავალი მოდელი გულისხმობს ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების ფუნქციონირებას, მიუხედავად იმისა, რომ დაბალანსების პერიოდად კვლავ თვე რჩება. ბირჟაზე ვაჭრობა მიმდინარეობს საათობრივი პროდუქტებით, თითოეული ფიზიკური მიწოდების საათისთვის.

ბირჟაზე ელექტროენერჯის შეძენის უფლება აქვთ:

- პირდაპირ მომხმარებლებს;
- სისტემის ოპერატორებს;
- უნივერსალურ, საჯარო მომსახურებისა და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლებს.

ბირჟაზე ელექტროენერჯის გაყიდვა შეუძლიათ:

- გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მქონე მწარმოებლებს;
- მხარდაჭერის სქემით მოსარგებლე ელექტროსადგურებს;
- სხვა მწარმოებლებს საჯარო მომსახურების ფარგლებს მიღმა.

არსებული კანონმდებლობის პირობებში, ბირჟაზე შეთავაზებული ელექტროენერჯის მოცულობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. 2025 წლის მონაცემებით, თეორიულად შესაძლებელი იყო ქვეყნის მთლიანი მოთხოვნის დაახლოებით 18%-ის შეთავაზება ბირჟაზე.




ბირჟის საემიანობის საერთო შედეგები 2025 წელს

2025 წელს ელექტროენერჯის ბირჟაზე ჯამურად ნავაჭრი ელექტროენერჯის მოცულობამ შეადგინა 129,754 მგვტ.სთ, ხოლო წლის საშუალო შეწონილი ფასი – 131.4 ლარი/მგვტ.სთ (13.14 თეთრი/კვტ.სთ).

წინა პერიოდთან შედარებით, ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა:

- 2025 წელს ნავაჭრი მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება 2024 წლის მეორე ნახევრის მაჩვენებელს;
- 2025 წლის მეორე ნახევარში ვაჭრობა ორჯერ გაიზარდა 2024 წლის მეორე ნახევართან შედარებით.



დღით ადრე ბაზრის შედგენი

2025 წელს დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერჯის მოცულობამ შეადგინა 129,753.8 მგვტ.სთ, რაც 2024 წლის მაჩვენებელს (17,493.9 მგვტ.სთ) თითქმის 7.5-ჯერ აღემატება.

ბირჟაზე ვაჭრობის ზრდის ძირითადი ფაქტორებია:

- ფინანსური სარგებლის არსებობა;
- ბირჟაზე დაშვებული ელექტროენერჯის მოცულობის ზრდა;
- მონაწილეთა გამოცდილების დაგროვება.

2025 წელს ბირჟაზე დაფიქსირდა მოთხოვნის მუდმივი სიჭარბე მიწოდებასთან შედარებით. მიწოდების გააქტიურება განსაკუთრებით გაზაფხულიდან შეინიშნებოდა, რაც დაკავშირებულია ბირჟაზე ვაჭრობის უფლების მქონე ელექტროსადგურების რაოდენობისა და წარმოების ზრდასთან.

ფასების დინამიკა და ეკონომიკური ეფექტი

2025 წელს ბირჟაზე დაფიქსირებული ფასები მუდმივად დაბალი იყო საბალანსო ელექტროენერჯის ფასებთან შედარებით.

ბირჟის ფუნქციონირების შედეგად:

- მყიდველებმა დაზოგეს დაახლოებით 2,265,000 ლარი, რაც 2024 წლის მაჩვენებელს (400,000 ლარი) დაახლოებით 5.5-ჯერ აღემატება.

დღიური ბაზრის შედეგი

2025 წლის 6 მაისს დღიურ ბაზარზე განხორციელდა პირველი ტრანზაქცია, რომლის მოცულობამ შეადგინა 381.6 მგვტ.სთ, ხოლო ფასი – 125 ლარი/მგვტ.სთ.

მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, დღიურ ბაზარზე აქტიურობა დაბალია. ძირითადი მიზეზებია:

- საათობრივი დაბალანსების ვალდებულების არარსებობა;
- დღის განმავლობაში ფასების შედარებითი სტაბილურობა;
- მოკლევადიანი სავაჭრო სიგნალების სიმცირე.

სენბის მომსახურების საფასური

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების 51-ე მუხლის შესაბამისად,

დღით ადრე და დღიურ ბაზრებისთვის 2026 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედებს შემდეგი ტარიფები:

- ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე დაშვების საფასური: 0 ლარი/წელიწადში
- ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე დაშვების საფასური: 0 ლარი/წელიწადში
- ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერჯისთვის საფასური: 0 ლარი/მგვტ.სთ
- ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერჯისთვის საფასური: 0 ლარი/მგვტ.სთ
- ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარზე დამატებითი პორტფელის მომსახურების საფასური: 0 ლარი/წელიწადში
- ელექტროენერჯის დღიურ ბაზარზე დამატებითი პორტფელის მომსახურების საფასური: 0 ლარი/წელიწადში

ბირჟის მონაწილეები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- დღით ადრე ბაზარზე რეგისტრირებული იყო 24 მონაწილე;
- დღიურ ბაზარზე – 17 მონაწილე.

მონაწილეთა სტრუქტურა მოიცავს:

- მიმწოდებლებს;
- საბოლოო მომხმარებლებს;
- სისტემის ოპერატორებს;
- ელექტროენერჯის მწარმოებლებს.

სავაჭრო წარმომადგენლების სერტიფიკაცია

2025 წელს სენბიმ ჩაატარა ორი საკვალიფიკაციო გამოცდა (ივლისსა და დეკემბერში). შედეგად, სავაჭრო წარმომადგენელთა სიას სამი ახალი სერტიფიცირებული წარმომადგენელი დაემატა. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ბირჟის მონაწილეთა პროფესიული კვალიფიკაციის ზრდას და ბაზრის ინსტიტუციურ გაძლიერებას.




ნორდ პულთან თანამშრომლობა



2025 წელს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა აქტიურად თანამშრომლობდა ნორდ პულთან – ელექტროენერჯის ბირჟის დღით ადრე და დღიური ბაზრების სერვისის მიმწოდებელთან. აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იყო როგორც ტექნოლოგიური, ისე ოპერაციული თვალსაზრისით და მიზნად ისახავდა ბირჟის სავაჭრო პროცესების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ნორდ პულის მიერ მოწოდებული პლატფორმის გამოყენებით, სენბიმ უზრუნველყო:

- დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერირების მაღალი სტანდარტებით განხორციელება;
- სავაჭრო პროცესების უწყვეტობა და საიმედოობა;
- საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საბაზრო მექანიზმების დანერგვა;
- მონაწილეთა წვდომა თანამედროვე ელექტრონულ სავაჭრო ინფრასტრუქტურაზე.

ნორდ პულთან თანამშრომლობამ ხელი შეუწყო საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ინსტიტუციურ გაძლიერებას, საბაზრო პროცესების გამჭვირვალობის ზრდას და ბაზრის მონაწილეთა ნდობის განმტკიცებას. აღნიშნული პარტნიორობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ელექტროენერჯის ბაზრის შემდგომი განვითარების და სამიზნე საბაზრო მოდელის ეტაპობრივი დანერგვისთვის.



NORD POOL

A EURONEXT COMPANY

UMM პლატფორმის ფუნქციონირება და ინფორმაციის გამჭვირვალობა

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა უზრუნველყოფს UMM (Urgent Market Messages) პლატფორმის ორგანიზებასა და ფუნქციონირებას, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერჯის ბაზრის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი ოპერატიული ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტს.

UMM პლატფორმის მეშვეობით ხდება:

- ელექტროსადგურების, ქსელებისა და სხვა ინფრასტრუქტურის დაგეგმილი და არაგეგმილი გათიშვების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება;
- ტექნიკური შეფერხებებისა და ავარიული მდგომარეობების შესახებ შეტყობინებების გავრცელება;
- ბაზრის მონაწილეებისთვის დროული და სანდო ინფორმაციის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მექანიზმი ხელსუწყობს ბაზრის გამჭვირვალობის ზრდას, ინფორმაციის სიმეტრიის გაუმჯობესებას და ბაზრის მონაწილეთა გადაწყვეტილებების უფრო ეფექტიან მიღებას. UMM პლატფორმის ფუნქციონირება წარმოადგენს ელექტროენერჯის ბაზრის თანამედროვე სტანდარტების მნიშვნელოვან კომპონენტს და უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის შესაბამისობას საერთაშორისო პრაქტიკასთან.

2025 წელს სენბიმ უზრუნველყო UMM პლატფორმის უწყვეტი ფუნქციონირება და ბაზრის მონაწილეთა ინფორმირების მაღალი ხარისხი, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ელექტროენერჯის ბირჟის სტაბილური და ეფექტიანი მუშაობისთვის.


გაზის ბირჟის ტექნიკური გამართვა

2025 წელს საქართველოს ენერჯეტიკულმა ბირჟამ აქტიურად მუშაობა დაიწყო გაზის ბირჟის ტექნიკური გამართვის მიმართულებით.

ბირჟის მიერ განხორციელებული სამუშაოები მოიცავს:

- ბაზრის ტექნიკური ინფრასტრუქტურის შეფასებას და ადაპტაციას გაზის სავაჭრო პროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობაში;
- სავაჭრო პლატფორმის მორგებას საათობრივ და დღიურ პროდუქტებზე, რაც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ბირჟის გამოცდილების გამოყენებას გაზის ბაზარზე;
- მონაცემთა გადაცემის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის სისტემების ინტეგრაციას, რათა გაზის ბირჟა ფუნქციონირებდეს მაღალი სანდოობით და გამჭვირვალობით;
- მარეგულირებელ ორგანოებთან და ბაზრის მონაწილეებთან ტექნიკური თანამშრომლობის გაძლიერებას.

ცნობილია, რომ გაზის ბირჟის წარმატებული დანერგვა მოითხოვს როგორც ტექნოლოგიურ, ისე ინსტიტუციურ მზადყოფნას. 2025 წელს სენბიმ მოახერხა ტექნიკური სამზადისის მნიშვნელოვანი ეტაპების შესრულება, რაც საფუძველს უქმნის მომავალში ბაზრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და სავაჭრო ოპერაციების დაწყებას.





www.genex.ge



+995 32 205 45 88



mail@genex.ge



ქ.თბილისი, კ. ხეთაგუროვის 36



სენბი GENEX